კოლხეთის ეროვნული პარკი ერთ-ერთი გამორჩეული და უჩვეულო ადგილია საქართველოში. აქ თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ ასობით გადამფრენ ფრინველს, გაისეირნოთ პალიასტომის ტბაზე, მდ. ფიჩორისა და ჭურიის ხეობებში.

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. კოლხეთის ეროვნული პარკი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნითაა შექმნილი.

კოლხეთის ეროვნული პარკი IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით დაცული ტერიტორიების მეორე კატეგორიაა. 1997 წლიდან მას იცავს რამსარის კონვენცია, რომელიც მიზნად ისახავს მიმომფრენ და წყალმცურავ ფრინველთა საბინადროდ ვარგისი არეალების შენარჩუნებას. 2021 წლიდან "კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები" UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანს წარმოადგენს.

კოლხეთის ეროვნულ პარკში წარმოდგენილია: ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარები, რელიქტური კოლხური ტყეები, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, ტბები, ჭარბტენიანი მდელოები და შავი ზღვის აკვატორია.

კოლხეთის ეროვნული პარკი დაარსდა 1999 წელს. მისი საერთო ფართობია 44 980 ჰა, რომლიდანაც ზღვის აკვატორია 15 751 ჰა-ს შეადგენს.



ქ. ფოთი, გურიის ქ. N222

+995 544 33 44 33

info@parks.ge

კოლხეთის ეროვნული პარკი/Kolkheti National Park

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

www.nationalparks.ge

საქართველოს ეროვნული პარკები

კოლხეთის ეროვნული პარკი



ეკოტურიზმი

კოლხეთის ეროვნულ პარკში შესაძლებელია პალიასტომის ტბაზე, მდ. ფიჩორისა და ჭურიის ხეობებში სანაოსნო ტურების, ფრინველებზე დაკვირვების და ეკოსაგანმანათლებლო ტურების მოწყობა. ტერიტორიაზე დაშვებულია სპორტული თევზჭერაც.

პარკში 4 ტურისტული მარშრუტი ფუნქციონირებს და ვიზიტორებს სანაოსნო ტურებს გთავაზობთ, შესაძლებელია კატერით, პანტონით და კაიაკით გასეირნება:

- პალიასტომის ტბა (კატერის ან პანტონის ტური) - მარშრუტზე მოინახულებთ პალიასტომის ტბის ნაპირების ულამაზეს პეიზაჟებს. შესაძლებელია გადამფრენ და მოზამთრე ფრინველებზე დაკვირვება.

- პალიასტომი-ფიჩორი (პანტონის ან კატერის ტური) - მარშრუტზე შესაძლებელია პანტონით ან კატერით გასეირნება, დაათვალიერებთ პალიასტომის ტბის ულამაზეს ნაპირებსა და მდინარე ფიჩორის ხეობაში არსებულ კოლხურ რელიქტურ ტყეებს. დაშვებულია სპორტული თევზაობა.

- პალიასტომი-ფიჩორი-პატარა პალიასტომი (პანტონის ან კატერის ტური) - მარშრუტზე წყლის დონის გათვალისწინებით, შესაძლებელია პანტონით ან კატერით გასეირნება, დაათვალიერებთ პალიასტომის ტბის ულამაზეს ნაპირებს, მდ. ფიჩორის ხეობაში არსებულ კოლხურ რელიქტურ ტყესა და პატარა პალიასტომის თვალწარმტაც ხედებს.

- მდ. ჭურია - ზუგდიდიდან 50 კმ-ის დაშორებით, ტურის განმავლობაში, შესაძლებლობა გაქვთ დაათვალიეროთ ტორფნარების თვალწარმტაცი ხედები და მდინარე ჭურიის ხეობაში არსებული კოლხური რელიქტური ტყე. ჭურიის ხეობაში წელიწადის ნებისმიერ დროს შესაძლებელია წყლისა და ზოგიერთი მტაცებელი ფრინველის ნახვა.

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ბუდობს, იზამთრებს და მიგრირებს 200-მდე სახეობის ფრინველი;

- მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვება შესაძლებელია ადრეულ გაზაფხულზე და ადრეულ შემოდგომაზე;

- წყლის ფრინველებზე დაკვირვება შეგიძლიათ ზამთარში (დეკემბერი-თებერვალი)

კოლხეთის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება

გამორჩეულია კოლხეთის დაბლობის რელიქტური წარმოშობის ტყეები, რომლებიც დაახლოებით 10 მილიონი წლის წინ მთელი ევრაზიის კონტინენტზე უწყვეტ ზოლად იყო გადაჭიმული. აქ დღემდეა შემორჩენილი მხოლოდ შორეული ჩრდილოეთის ტუნდრისა და ტაიგის ჭაობიანი ეკოსისტემებისთვის დამახასიათებელი მცენარეები: სფაგნუმის ხავსი, რინხოსპორა, ტორფის ისლი, დროზერა.

საქართველოს „წითელი ნუსხის“ იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობებიდან კოლხეთის ეროვნულ პარკში გვხვდება კოლხური მუხა, ლაფანი, კოლხური ბზა. ზღვის ძუძუმწოვრებიდან - აფალინა, თეთრგვერდა დელფინი და ზღვის ღორი.

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ბუდობს, იზამთრებს და მიგრირებს 200-მდე სახეობის ფრინველი. აქ გადის გადამფრენ ფრინველთა ევრაზია-აფრიკის საიმიგრაციო მარშრუტი. ზოგიერთი სახეობისთვის კი კოლხეთი გამოსაზამთრებელ ადგილს წარმოადგენს. ზამთარში აქ ჩრდილოეთიდან იხვების, ბატების, გედების, კოკონებისა და ჩვამების გუნდები მოფრინავენ.

კოლხეთის ეროვნულ პარკში ზამთრის განმავლობაში გვხვდება: ტყის ქათამი, ხმელთაშუაზღვის ქარიშხალა, მელოტა, კოკონა, თეთრშუბლა ბატი, სისინა და მყივანა გედი, ხუჭუჭა და ვარდისფერი ვარხვი. თუ გაგიმართლად შეხვდებით საქართველოს ფაუნის ულამაზეს ფრთოსანს - კოლხურ ხოხობს.

ეროვნული პარკის ტერიტორიის იხტიოფაუნა თევზების 88 სახეობითაა წარმოდგენილი (23 გამსვლელი, 21 მტკნარი წყლის, ხოლო შავი ზღვის 44 სახეობა). ხრტილოვანი თევზებიდან აღსანიშნავია ატლანტური ზუთხი, ხოლო ძვლოვანი თევზებიდან - შავი ზღვის ორაგული, ქაშაყი, ლობანი, ქარიყლაპია და სკუმბრია.





კოლხეთის ეროვნული პარკი - UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანი საქართველოში

საქართველოში რამდენიმე სხვადასხვა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნახვაა შესაძლებელი, რომელიც იუნესკოს ნუსხაშია, თუმცა ქვეყნის ისტორიაში პირველად, ამჯერად უკვე იუნესკოს ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი გახდა 4 დაცული ტერიტორია. 2021 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, საქართველოს 4 დაცული ტერიტორია მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, როგორც „კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები“ UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა, რითიც, კიდევ ერთხელ, ხაზი გაესვა ამ ტერიტორიების უნიკალურ ბუნებრივ ფასეულობებსა და მნიშვნელობას.

უაღრესად საყურადღებოა იმნათის ცოცხალი სფაგნუმის ტორფნარი, რომელიც არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ მსოფლიო საგანძურს წარმოადგენს. ეს უძველესი, უნიკალური ტორფნარები, რომლებიც დაახლოებით 10 000 წლით თარიღდება, გამყინვარების პერიოდს გადაურჩნენ და მათი (ტორფის) წარმოქმნის პროცესი დღემდე შეუფერხებლად გრძელდება.

